ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №7453361

ნომერი: AR11087574

თარიღი : 16.04.2025

გაცემის თარიღი : 22.04.2025

გაცნობის თარიღი : 22.04.2025

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფერდობი ნუცუბიძე , II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი N7-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა ჭავჭანიძე პ/ნ 01024018748
- თბილისი თ.იოსებიძის ქ. N 71ბ ბ. 113

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 16 აპრილს №AR11087574 განცხადებით მომართა პაატა ჭავჭანიძემ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 26 სექტემბრის №7231436 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 26 სექტემბრის №7231436 ბრძანებით N01.14.01.007.399 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2024 წლის 27 დეკემბრის №7336283 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 25 დეკემბრიდან 2028 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 26 სექტემბრის №7231436 ბრძანებაში ცვლილების შეტანას გამწვანების პროექტთან დაკავშირებით.
სამსახურმა დაადგინა, რომ განცხადება არასწორად იქნა დარეგისტრირებული „ცვლილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში“-ს ველში. აღნიშნული საჭიროებს შეთანხმებული პროექტის ცვლილებას (კორექტირებას) და შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მიღებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.